პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) უცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრეულთა შეკავშირების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 თებერვალი, 1947 წ. № 40 (7824). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲮᲕᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲪᲓᲐᲗᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ — მოწვნივე (1-ლი გვერდი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ — 20 თებერვალს კრემლში (1-ლი გვერდი).

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ — კავშირის საბჭოს 1947 წლის 21 თებერვლის სხდომის შესახებ და ეროვნებათა საბჭოს 1947 წლის 21 თებერვლის სხდომის შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲐᲕᲘᲡ (1-ლი გვერდი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1947 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲮᲕᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲪᲓᲐᲗᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

მასების უდიდესი პოლიტიკური დარაზმულობითა და შრომითი აქტივობით აღინიშნა განვლილი არჩევნები მთელს რუსეთსა და საქართველოში. ამ დარაზმულობამ და აქტივობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ახალი ხუთწლედის პრეკეტი სამეურნეო წლის გეგმების წარმატებით შესრულებაში.

„საქართველოს მრეწველობის მუშაობის ძირითად დადებით შედეგად 1946 წელს,—ეროგორც ეს საქართველოს პოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე გამაცხადა,—უნდა ჩაითვალოს ქვანახშირის, მარგანეცის მოპოვებისა და ელექტროენერგიის გამოშუშავების ძნშვნელოვანი გადიდება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მანქანათმშენებელი და სხვა ლითონდამშუშავებელ საწარმოთა პროდუქციის სწრაფი ზრდა, აგრეთვე კვების მრეწველობის საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების გადიდება“.

დიდი შრომითი აღმავლობით დაიწყო ახალი ხუთწლედის მეორე სამეურნეო წელი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივის მომართვას არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურა ყველა საწარმოს, ახალმშენებლობათა და ტრანსპორტის მუშათა კოლექტივები. კიროველთა მომართვის პასუხად მათ იკისრეს ვალდებულება წარმატებით დაემთავრებინათ 1946 წელი და მორიგი საწარმოო გამარჯვებით აღენიშნათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე—1947 წლის 9 თებერვალი. სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად გაანალდეს სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა კოლექტივების დიდმა უმრავლესობამ. იაღრის საწარმოო გეგმები ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს თბილისელმა დაზგათმშენებლებმა და მანქანათმშენებლებმა, სოფეიქრო, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის მრავალმა საწარმომ, ჯიოპურელმა მაღარიოლებმა, დაკასპელმა მეცენტენტებმა, მეკოსმეტიკეებმა და ადგილ ქარხნის მეშვებმა.

იანვარში მოპოვებულ მიღწევებს წარმატებით ინარჩუნებენ ჯიოპურელი მაღარიოლები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მარგანეცის მოპოვების თებერვლის პირველი ნახევრის დავალება. მაღალი შრომითი ეფექტიანობით მუშაობენ კიროველი დაზგათმშენებლები, თბილისის 26 კომბინატისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების მუშათა კოლექტივები, ქუთაისის საავტომობილო გაგარტისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლები, ნრასპეკისისა და სოხუმშესის კოლექტივები.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში შრომითი მამაცობის შესანიშნავი ნიმუშები გამოავლინეს ჩვენმა სტახანოველებმა და სტახანოვურმა ბრიგადებმა. ასობითა და ათასობით წარჩინებული სტახანოველი თებერვლის პირველ დეკადაში არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოურ ვახტზე იდგა და ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 200-დან 500 და კიდეც უფრო მეტი პროცენტით ანადგენდა.

მოწინავე საწარმოთა გვერდით არიან ჩამორჩენილი კოლექტივებიც. იანვარში საწარმოო გეგმები ვერ შეასრულეს ტყიბულელმა და ტყვარჩელელმა მეშახტეებმა, საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის ისეთმა წამყვანმა საწარმომ, როგორიცაა თბილისის ორთოქლამავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა.

1947 წელს ჩვენი მრეწველობის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დასახული. წელს თვალსაწინოდ უნდა გადიდდეს ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება, ელექტროენერგიის გამოშუშავება, დაზგებისა და მანქანების წარმოება, მკვეთრად გაიზარდოს ფართო მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების გამოშვება, მწყობრში ჩაგდეს ათობით ახალი საწარმო, აშენდეს ათეულობასობით მტერი საცხოვრებელი ფართობი, გაძლიერდეს ჩვენი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების შემდგომი აღთიოქმოწყობის სამუშაოები.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის შეუფერებელი ბრძოლა თვითეული შრომელის სამატონო მოვალეობაა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და ყოველდღიურად ვამრავლოთ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სოციალისტური შეჯიბრებით მოპოვებული წარმატებანი, მიგალწიოთ იმის, რომ თვითეული საწარმო ძალიანად ასრულებდეს გეგმას, საწარმოო დავალება სრულდებოდეს არა მარტო მოწინავე სტახანოველთა გამომუშავებით, არამედ თვითეული მუშის მიერ.

გასულ წელს ჩვენი ბრავალი საწარმოს მუშაობის ერთ-ერთი ძნშვნელოვანი ნაკლი ის იყო, რომ გეგმები სრულდებოდა არათანაბრად: თვისა თუ კვარტალის დასაწყისში საწარმოში თავს იჩენდა ერთგვარი მოშვებულობა, თვითდამშვიდება, რაც იწვევდა ჩამორჩენას, ხოლო შემდგომ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ ადგილი ჰქონდა იერიშობასს, ზეგიფტ საათები მუშობას. წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი, ნაცვლად იმისა, რომ უწრაფა მუშთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, წარმოებაში ახლად მოსულ მუშთა მიერ პროფესიის დასაუფლებლად, სტახანოველთა ერთიული რეკორდების დამყარებით იყო გატაცებული და ამაში ხედავდა გეგმების შესრულების მთავარ საშუალებას, ნაკლებად ზრუნავდა იმისათვის, რომ ყველა მუშას შეეფერებინა მიეღო მეული დავალება. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის საწარმო გეგმებს ასრულებდა ნაკლებ შრომატევადი და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებით, არ იცავდა დაწესებულ სტანდარტს, ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას, ვერ ასრულებდა სასწრების დაგრიგების დავალებას.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ყველა ამ ნაკლოვანებათა ამოთვითვე აღმოფხვრისათვის. უმთავრესი ამოცანა, რაც ახლა თვითეული საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე დგას, ეს არის ისეთი პირობების შექმნა, რომ თვითეული მუშა მთლიანად ასრულებდეს ყოველდღიურ საწარმოო დავალებას. ამ ამოცანის გადაჭრას დიდად შეუწყობს ხელს მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის—„პარიზის კომუნის“ სტახანოველი ბრიგადიის ამხ. ვ. მატროსოვის წინადადების განხორციელება—შევიმუშაოთ შრომის სტახანოვური მეთოდები დანერგვის საამქროთაშორისო გეგმა. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა და ადგილ-კომკომებმა თვითეულ საწარმოში გულდასმით უნდა გაიკონონ მუშებს მატროსოვის ბრიგადის მუშობის გამოცდილება, შეიმუშაონ სტახანოვური მუშობის მეთოდების დანერგვის საამქროთაშორისო გეგმები, გაიფართოონ სტახანოვური სკოლების ქსელი, უნარიანად უხელმძღვანელონ ამ სკოლების მუშობას, ხელი შეუწყონ წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას, შრომის სწორ ორგანიზაციას, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მუშა გახდეს სტახანოველი.

გეშინ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივის მიმართვა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინრის, ტექნიკოსის, ოსტატისა და მოსამსახურისადმი. ვმრი ქალაქის შრომელები, რომლებმაც სამი კვირით ადრე გაანალდეს გასული წლის საწარმოო დავალებანი, მოგვიწოდებენ გავაჩაღოთ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების 1947 წლის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

„რამდენადაც უფრო ჩქარა და მეტს მივეცემთ ჩვენს ქვეყანას ლითონს,—სწერენ ლენინგრადელები თავიანთ მიმართვაში, — ქვანახშირს, ნავთს, მანქანას, დაზგას, ხელსაწყოს, სასოფლო-სამეურნეო იარაღს, ფარფოლ მოხმარების საქონელს, რამდენადაც მეტ ბინას ავაშენებთ, მით უფრო მალე უზრუნველყოფთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ ზრდას, მით უფრო მალე ავამაღლებთ შრომეულთა კეთილდღეობას და დავაკმაყოფილებთ მთის საარსებო საჭიროებას“.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოოთა კოლექტივები, რომლებიც ეროვნული ეკონომიის მეშობენ ხუთწლედის დავალებათა განსახორციელებლად, უეჭველია, ერთსულოვნად დაეჭერენ მხარს ლენინგრადელთა ამ პატრიოტულ ინიციატივას, ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას და იბრძოლებენ 1947 წლის საწარმოო დავალებათა 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ლენინელ ნაციონალ-ბოლშევიკთა ბელადის დიდი პატიოსნების წინამძღოლობით ეროვნული ეკონომიის ყველა დარგში, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ

20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

20 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სხდომა. ჩვეულებისამებრ, პალატებმა ცალ-ცალკე დაიწყეს მუშაობა: დღის 2 საათზე ეროვნებათა საბჭოს სესია, დღის 4 საათზე—კავშირის საბჭოს სესია, ხოლო საღამოს 7 საათზე პალატების მიერ დამტკიცებული რეგლამენტის მიხედვით შესდგა მათი გაერთიანებული სხდომა.

დღის წესრიგის შემუშავების დაწყებამდე ორივე პალატამ მოისმინა სამანდატო კომისიების თავმჯდომარეთა მოხსენებანი—ეროვნებათა საბჭოში დეპუტატ შარიას მოხსენება და კავშირის საბჭოში დეპუტატ პატოლიჩევის მოხსენება. 9 და 16 თებერვალს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების არჩევნებთან ერთად, 11 საარჩევნო ოლქში ჩატარდა ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები გამოკლებულთა ნაცვლად. სამანდატო კომისიებმა ახალ დეპუტატთა რწმუნებანი სწორად სცნეს. ეროვნებათა საბჭოშიც და კავშირის საბჭოშიც ერთხმად დაამტკიცეს სამანდატო კომისიების მოხსენებანი.

ასევე ერთსულოვნად ორივე პალატა იღებს დღის წესრიგსა და საკითხთა განხილვის წესს.

საღამოს ორივე პალატა გაერთიანებულ სხდომაზე შეიკრიბა. კრემლის სასახლის დიდი დარბაზი ხალხით ავსე გაუგეიდილი. პარტერში არიან უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ავიანზე მრავალი სტუმარი—მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, სამეურნეო და პარტიული მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერალები. ლოჟებში არიან უცხო სახელმწიფოთა ელჩები და დესპანები, საბჭოთა და უცხოელი ეკონომისტები. ყველა ადგილი დაკავებულია სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

საღამოს 7 საათზე პრეზიდიუმში გამოჩნდნენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ჟდანოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი, პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები — დეპუტატები ტ. დ. ლისენკო, ნ. დ. უნდასანოვი, ჩ. ა. ასლანოვი და პ. ა. ლევიტიკი, მათთან ერთად გამოდის მთელი ხალხის დეპუტატი—იოსიფ ბესარიონის ძე სტალინი. ამხანაგ სტალინთან ერთად გამოდიან მისი უახლოესი თანამებრძოლნი დეპუტატები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კუზნეცოვი, ნ. ო. პატოლიჩევი, გ. მ. პოპოვი. დარბაზმა, სადაც მანამდე სიწყნარე იყო, ერთიანშად იცვალა სახე. ხალხის რეკოფნი მეტხარა ოვაციით ხვდებიან დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. ყველანი ფეხზე დგებიან და მეტხარე ტაშით, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება, მიესალმებიან ამხანაგ სტალინს. მისკენ არის მიპყრობილი ყველის თვალი.

როცა ოვაცია ცხრება, სხდომის თავმჯდომარე—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი საბჭოთა კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას ანძლევს დეპუტატ ა. გ. ზვერევს.

დეპუტატებმა და სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ფინანსთა მინისტრის მოხსენება და მხურვალე მიესალმენ მის დასკვნის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ახალი წელილი იქნება ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წინ მიმავალი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1947 წლის 21 თებერვლის სხდომის შესახებ

21 თებერვალს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** თანამოხსენება.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე ღღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **მ. ი. როდიონოვი** (გორკის — სტალინის საარჩევნო ოლქი, გორკის ოლქი), დეპუტატი **ი. ე. კალნბერზინი** (რიგის საკალაჯო ოლქი, ლატვიის სსრ), დეპუტატი **ზ. ფ. ოლეინიკი** (ტარაშჩანსის ოლქი, უკრაინის სსრ), დეპუტატი **ტ. ა. სელეპანოვი** (მნერბაკოვის ოლქი, ბოსკოვი), დეპუტატი **ს. ბაბაევი** (ტაშაუზის ოლქი, თურქმენეთის სსრ), დეპუტატი **ვ. ი. ნეიდოსეკინი** (სეროეის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი), დეპუტატი **მ. ა. ეკიდელანი** (ტელშის ოლქი, ლიტვის სსრ), დეპუტატი **ნ. ი. ბელიაევი** (ბარნაულის საქალაკო ოლქი, ალტაის მხარე), დეპუტატი **ნ. ა. ბაკანი** (ტულჩის ოლქი, უკრაინის სსრ).

ამით კავშირის საბჭოს მეორე სხდომა იხურება.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1947 წლის 21 თებერვლის სხდომის შესახებ

21 თებერვალს, დღის 4 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ხოლოდოვის** თანამოხსენება.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის კამათზე ღღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ა. ბ. ლაზუტინი** (ლენინგრადის საკალაკო ოლქი, ქ. ლენინგრადი), დეპუტატი **ა. ანდურაშვილი** (ფურგანის ოლქი, უზბეკეთის სსრ), დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი** (კიროვის ოლქი, ლატვიის სსრ), დეპუტატი **ი. ა. ბენდიქტოვი** (ირკუტსკის ოლქი, რსფსრ), დეპუტატი **ს. მ. შარაფეევი** (ჩისტოპოლის ოლქი, თათრეთის ასსრ), დეპუტატი **ი. ს. გრუშეცკი** (ლვოვის ოლქი, უკრაინის სსრ).

ამით ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა იხურება.

ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲥᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲥᲐᲖᲐᲮᲗᲐ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1947 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲚᲐᲛ-ᲐᲗᲐ, 19 თებერვალი. (საკვლევი). ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სოლეტ საარჩევნო კომისიებისაგან შემოვიდა სრული ცნობები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ.

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 3.553.881 კაცს. აქედან ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3.552.984 კაცმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა 300 საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 3.541.980 კაცმა, რაც ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,70 პროცენტს შეადგენს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 10.789 კაცმა, რაც ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,30 პროცენტს შეადგენს.

„ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დეპუტატის“ 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 137 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა თვითეულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების მასალები და რეგისტრაციაში გაატარა ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა 300 საარჩევნო ოლქში დეპუტატების არჩევა.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩეულ დეპუტატთა შორის არიან:

ი. ბ. სტალინი — ქალაქ ალმა-ატის სტალინის № 4 საარჩევნო ოლქში,

ვ. მ. მოლოტოვი—ქალაქ ყარაგანდის კიროვის № 224 საარჩევნო ოლქში,

ა. ა. ჟდანოვი — ქალაქ ჩიმკენტის ძერჟინსკის № 53 საარჩევნო ოლქში,

ნ. მ. შვერნიკი — ქალაქ სემიპალატინსკის ცენტრალურ № 253 საარჩევნო ოლქში.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩეულ დეპუტატთა სრული სია გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ გაზეთებში.

ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲜᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲜᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1947 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ, 18 თებერვალი. (საკვლევი). ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 1947 წლის 18 თებერვალს დღის 12 საათისათვის ყველა სოლეტ საარჩევნო კომისიისაგან მიღებული საბოლოო ცნობები მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებზე, რაც შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე.

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 1.296.817 კაცს. აქედან მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.295.733 კაცმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,92 პროცენტმა.

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 265 საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1.291.674 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,69 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 3.922 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,30 პროცენტს.

„მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დეპუტატის“ 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 137 ბიულეტენი.

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა ცალ-ცალკე თვითეული საარჩევნო ოლქის მასალები და რეგისტრაციაში გაატარა მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 265 საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ქალაქ კიშინიოვის სტალინის № 229 საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ერთსულოვნად არის არჩეული ხალხთა დიდი ბელადი **ი. ბ. სტალინი.**

პირველი ბელეცის № 126 საქალაქო საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი.**

ქალაქ კიშინიოვის ლენინის № 233 საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ა. ა. ჟდანოვი.**

ორგეევსკის № 68 საქალაქო საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ნ. მ. შვერნიკი.**

სოროკის № 37 საქალაქო საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ა. ა. ანდრეევი.**

ბენდერის № 182 საქალაქო საარჩევნო ოლქში მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ნ. ა. ვოზნესენსკი.**

მოლდავეთის სსრ უმაღლესის საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სრული სია გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ გაზეთებში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მოსკოვში რუმინეთის საგარეო დელეგაციის ეუფლის დროს რუმინეთის ეროვნული ეკონომიის მინისტრი ბ-ნი დეკი მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგებს ნ. ბ. სტალინსა და ს. ა. ლოზოვსკი და ეროვნული ეკონომიის მინისტრ ამხ. ვ. მ. მოლოტოვს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუმინეთის საგარეო დელეგაციის შორის, რომელშიც შედიან რუმინეთის ეროვნული ეკონომიის მინისტრი ბ-ნი გეორგიუ დეკი, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ალექსანდრუ ბალანეანუ, სამხედრო ნაოსანი ბ-ნი ბალანეანუ, ეროვნული ეკონომიის მინისტრი ბ-ნი ალექსანდრეანუ, ელჩი ბ-ნი ბალანეანუ, ელჩი ბ-ნი ბალანეანუ, ელჩი ბ-ნი ბალან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეკუზევ ა. გ. ზვერევის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოდის იმ ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს, და მიმართულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისაკენ, კულტურის აღმავლობისა და საბჭოთა კავშირის ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

დამთავრებული 1946 წელი აღინიშნა მნიშვნელოვანი წარმატებებით საბჭოთა ხალხის ბრძოლაში ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი საშინაო და საგარეო ეკონომიკისა და კულტურული აღმავლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, იმ პროგრამისა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ სტალინის 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში.

საბჭოთა კავშირი გამარჯვებული გამოვიდა კაპიტალისტობის ისტორიაში უდიდეს ომში და შეეიდა თავისი განვითარების შვიდობიან პერიოდში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძანული წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის ხალხი შვიდობიანი დროის ვითარებაში აღადგენენ მტრის მიერ დანგრეულ მეურნეობასა და კულტურულ დაწესებულებებს, აყალიბებენ საბჭოთა სახელმწიფოს საწარმო ძალებს.

მიუხედავად უდიდესი ზარალისა, რაც ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტთა შემოსევამ მიაყენა, და ომისშემდგომი პერიოდის დიდი სიძნელეებისა, საბჭოთა ხალხმა სერიოზული მიღწევები მოიპოვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ჯაჭვიდ მოწმობს მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ შედეგებს.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად მრეწველობამ გასულ წელს ძირითადად დაამთავრა თავის წარმოების ომისშემდგომი გარდაქმნა.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო გამომშვებება სამოქალაქო პროდუქციის ხაზით 1946 წელს 20 პროცენტით გადიდდა 1945 წელთან შედარებით.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მძიმე ინდუსტრიის დარგებმა, აგრეთვე იმ მრეწველობის დარგებმა, რომელიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. 12 პროცენტით გადიდდა თუჯის წარმოება, 9 პროცენტით—ფოლადის გამოდნობა, 13 პროცენტით—ნაგლინის წარმოება, 10 პროცენტით—ქვანახშირის ამოღება, 12 პროცენტით—ნავთის ამოღება, 72 პროცენტით — ტრაქტორების გამოშვება, 17 პროცენტით—ბამბეულის გამოშვება, 30 პროცენტით—მაღეულის გამოშვება და ა. შ.

საშუალო საღღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე 1946 წელს 113 პროცენტს შეადგენს 1945 წელთან შედარებით.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში ეკავე 1946 წელს გადაჭარბინა ამ მიზნისათვის 1940 წელს დანახარჯთა ოდენობის, ამასთან მთელ კაპიტალურ დაბანდებათა 40 პროცენტზე მეტი გამოყენებულია ადგილებით სამეშაოებისათვის. ამი შედეგად სწრაფი ტემპებით მატულობს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანელი ოკუპაცია განიცადეს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ეაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1946 წელს (მესაფარ ფასებში) 130 პროცენტზე შეადგენდა 1945 წელთან შედარებით.

სოფლის მეურნეობაზე 1946 წელს სერიოზული ვალენა მოახდინა ძლიერმა ვვალვამ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. ასეთი ვვალვა არ ყოფილა ეკანაკესელი 50 წლის განმაღლზე. ტერტორის ოდენობით მან 1921 წლის ვვალეას გადაჭარბა.

მაგრამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის ეპირატესობის მეოხებით, მარცვლეულის საერთო მოსავალი და სასაქონლო პროდუქცია 1946 წელს გაღლიერებით მეტი იყო, ვიდრე 1921 წელს, ხოლო ვვალეთი დაუზარალებელ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქცია 1946 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1945 წლთან შედარებით. მინიც მთლიანად მარცვლეულის, მზესუმზრაესა და შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში 1945 წლისაზე ნაკლები იყო.

დიდი წარმატებებია მიღწეული ბენეფრების განვითარებაში და ჩვენი ხალხის კულტურის შემდგომი საერო აღმავლობის საქმეში.

1946 წელი იყო ჩვენს სახალხო მეურნეობაში ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების წელი, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის კიდევ უფრო განმტკიცების წელი.

ამ შეაანშრავმა შედეგმა ანალიზ ბილი თავიანი სიძლიერით ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების. ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიანი სისტემის ცხოველმყოფელი ძალა.

საბჭოთა ხალხის მიერ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებაში მიღწეულმა წარმატებებმა მტიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ჩვენი სამშობლო ძლეკვამოსილად მიდის წინ კომუნისტური საზოგადოების აგების გზით ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით. (**ქუხარი, ხანგრძლივი ტაში**).

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ესწრაფეს აღდგენასა და განვითარებას, მეცნიერების, კულტურის აყვავებასა და ხალხის მასების კეთილდღეობის ამაღლებას.

სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები

სანამ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს მოგახსენებდეთ, ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო გასული 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარ შედეგებს.

ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ 1946 წელ. ადგილი ქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის შემდგომ განმტკიცებას სოციალისტური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსავლის გადიდების საფუძველზე.

წინასწარი ცნობებით ბიუჯეტის შემოსავალმა შეადგინა 322,7 მილიარდი მანეთი, ხოლო გასავალმა 304,1 მილიარდი მანეთი. ამრიგად, ბიუჯეტი შესრულებულია გასავლიან შემოსავლის 18,6 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საბჭოთა სახელმწიფოს ფულის მიმოქცევასა და ფინანსებზე. 1945 წლთან შედარებით 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გადიდდა 20,7 მილიარდი მანეთით, ანუ 6,9 პროცენტით, ხოლო გასავალი 5,5 მილიარდი მანეთით, ანუ 1,8 პროცენტით.

შეეჩერდები სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო და საგასავლო მუხლების შესრულებაზე.

შემოსავალი ბრუნვის გადასახადით 1946 წელს 67,9 მილიარდი მანეთით, ანუ 55,2 პროცენტით გადიდდა. ეს აიხსნება სამრეწველო პროდუქციის და საქონელბრუნვის გადიდებით და სალუფფოს ფასების ერთგვარი ამაღლებით.

მაგრამ ბრუნვის გადასახადის დარგში გეგმის შესრულებას 1946 წელს 4,9 პროცენტი დაკელდა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი საწარმოო პროგრამები და პროდუქციის რეალიზაციის გეგმები.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოების მოგების ანარიცხები საბჭოლმდინარეობის 1946 წელს დამტკიცებული იყო 16,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. წინასწარი ცნობებით შემოსულია 16,2 მილიარდი მანეთი. ზოგიერთი სამინისტროს მიერ მოგების ანარიცხების დარგში გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, ცალკეულ სამინისტროებს მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ ბიუჯეტში მოგებათა ანარიცხების გეგმის შესრულების მხრივ იმის გამო, რომ ბევრი სამეურნეო მუშაკი საკმაო ყურადღებით არ ეკიდებოდა საწარმოო პროგრამის შესრულებას, პროდუქციის თვითფირფიტების შემცირებასა. მატერიალური და ფინანსური რესურსების მომგზირეობით გამოყენებას.

შემოსავალი მოსახლეობის სახელმწიფო გადასახადების ხაზით 1946 წლისათვის დამტკიცებული იყო 23,4 მილიარდი მანეთის ოდენობით, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 22,7 მილიარდი მანეთი, ესე იგი 700 მილიონი მანეთით ნაკლები. გადასახადების ნარჩენი ნაწილობრივ აიხსნება ცალკეული სფინანსო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის სსრ რესპუბლიკების, მორდვეთის, ბაშკირეთის სსრ რესპუბლიკების, რიაზანისა და იაროსლავლის ოლქების სფინანსო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1946 წელს, როგორც უკვე აღენიშნე, შეადგენდა 304,1 მილიარდ მანეთს, აქედან მრეწველობის დასაფინანსებლად 68,6 მილიარდ მანეთს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დასაფინანსებლად 10,0 მილიარდ მანეთს, სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად 12,3 მილიარდ მანეთს, ეკონომიკის და დამზადებათა დასაფინანსებლად 3,2 მილიარდ მანეთს, ხოლო სულ სახალხო მეურნეობის დასაფინანსებელად, სარეზერვო ფონდიდან ასიგნებათა ჩათვლით, დახარჯულია 103,9 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 1945 წლის 74,4 მილიარდი მანეთისა, ანუ 29,5 მილიარდი მანეთით მეტი.

განთლებაზე დაიხარჯა 38,1 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე 13,8 მილიარდი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების პენსიისა და დახმარების ჩათვლით, 17,6 მილიარდი მანეთი, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფოდან დახმარებაზე 3,6 მილიარდი მანეთი. სულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯულია 80,4 მილიარდი მანეთი, ანუ 17,7 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1945 წელს.

ამ ძირითადი მაჩვენებლებით ნაკლოვანება 1946 წლის ბიუჯეტის შესრულება.

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ავებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ამოცანებისა და 1947 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის უსაბამისად.

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს:

ჯერ-ერთი — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისა საქირობათა და პირველ რიგში ათობობისა და მეტალურგიული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის აღმავლობის, მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების განვითარების დაჩქარების, აგრეთვე ამბინალ მშენებლობის ტეკნიკის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას სოციალისტურ სექტორში.

მეორე — სოციალისტურ საწარმოოგან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შემდგომ გადიდებას მეურნეობის მთელი რესურსების მობილიზაციის, მატერიალური და ფულადი აუხარეობის უკეთ გამოყენების, ბომბერინეგობის რეჟიმის შემდგომი დაწერეგვისა და სამეურნეო აყვავების გაძლიერების საფუძველზე.

მესამე—სახალხო მეურნეობაში ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო მეურნეობის ზრდის შეაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1947 წელს 1946 წელთან შედარებით დიდდება შემოსავლის ხაზით 21,3 პროცენტით და გასავლისა ხაზით 22,1 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1947 წელს განსაზღვრულია 391,5 მილიარდი მანეთით და გასავალი 371,4 მილიარდი მანეთით, ე. ი. გათვალისწინებულია შემოსავლის გადამეტება გასავალზე 20,1 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მოყვანილი ციფრები სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდისა ეკავეიდ მოწმობენ ომისშემდგომ ეპოქაში სოციალისტური ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან

პროდუქციის მოცულობისა და საქონელბრუნვის გადიდებასთან დაკავშირებით, შემოსავალი. ბრუნვის გადაანაბიდან 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 63,7 მილიარდი მანეთით ეიდდება და 254,7 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ბრუნვის გადასახადით შემოსავლის ეზრნენელოფოფის ეან-შენელოვანეს ხარობა წარმოადგენს საწარმოებისა ბორ თავიანთი საწარმოო პროგრამებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

ამავე დროს კი, ყვეის, საგამოვნო და თვეზრა მრეწველობის სამინისტროებმა ვერ უზრუნველყეეს მთელი რიგი თავიანთი დარგების საწარმოო გეგმის შესრულება, რის გამო ყვეებისა და საგამოვნო მრეწველობის საწარმოებმა 1946 წელს ბრუნვის გადასახადის ხაზით ბიუჯეტს დაკელეს 2,2 მილიარდ მანეთი, ხოლო თვეზრა მრეწველობის საწარმოებმა 0,6 მილიარდ მანეთი.

